



მოჰამად ჟაზემის ცნობები საქართველოს შესახებ. სპარსულიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო თამარ ლეკვეიშვილმა. თბილისი, „ინტელექტი“, 2016.

მოკამად ქაზემის (დ.1720/21) ისტორიული თხზულებაა „აღემ არა-ი ნადერი“ („ნადერის ქვეყნის დამამშვენებელი ისტორია“) შედგება სამი წიგნისგან და მოიცავს ცნობებს ამ პერიოდის კავკასიის და, კერძოდ საქართველოს შესახებ.

XVIII საუკუნის 30-იან წლებში ქაზემი ნადერ შაჰის (1736-1747) ძმის, იბრაჰიმ ხანის, – შემდგომში აზერბაიჯანის მმართველის, სამსახურში იდგა.

1739 წლიდან მოკამად ქაზემი მერვის ბეგლარბეგს ემსახურება. 1740 წელს იგი მონაწილეობს ნადერ შაჰის ლაშქრობაში ცენტრალურ აზიაში, როგორც კანცელარიის მოხელე. 1741 წელს კი ლაშქარნავის<sup>1</sup> თანამდებობაზეა და მონაწილეობს ქალაქ ბალხზე ლაშქრობაში. 1744-1746 წლებში ქაზემი მერვის არსენალის საფინანსო უწყების მოხელეა. 1746-1747 წლებში კი მერვის არტილერიაში მსახურობს ბიჭბუდ ხანთან, რომელიც ირანის ჯარის სარდალი იყო თურქესტანში. იმხანად, როცა მოკამად ქაზემმა თავისი თხზულების წერა დაიწყო (დაახლ. 1749/50 წ.), იგი, როგორც ჩანს, მერვის ბეგლარბეგის ვეზირი (ფინანსური უწყების უფროსი) იყო.

ქაზემის თხზულების პირველი ტომი ეხება პერიოდს, როცა ნადერ შაჰი ჯერ კიდევ არ იყო გამეფებული ამიტომ, ცხადია, რომ ავტორი წინამორბედი ირანელი ისტორიკოსების სათანადო წყაროებით სარგებლობდა. მეორე ტომში აღწერილია 1736-1743 წლების მოვლენები, ხოლო, მესამე, ჩვენთვის საინტერესო ტომი, მოიცავს ნადერ შაჰის მმართველობის ბოლო პერიოდს (1743-1747 წწ.).

-----  
و چون حسب فرمان قضا جريان صاحبقرانی، چنان به نفاذ پیوسته بود، که باید ضابط و عمال و بابایان و کدخدایان مشهد مقدس چهارده شبانه روز ارض اقدس را آیین و چراغان کرده و به نحوی طوی نمایند که در آن عصر احدی نکرده باشد. نظر به فرمان واجب الاذعان ساعت سعد اختیار کرده اهل بازار شموع و مصابیح و مشاغل بی عدد در دکان و مواضع آیین افروخته مهما ممکن در صفا و رونق هر انجمن سعی موفور به ظهور رسانیدند. و از ایقاد شموع و مشاکیت و افروختن مشاعل و مصابیح دکان مشحون از عجایب و مشتمل بر غرایب از بروج و منازل انظار کواکب اخبار می نمود و ظلمت و تیرگی چون وقت نصف النهار در آن شب دیجور از آن شهر رفته و چراغانی آن [انجمن را رتبه کمال

<sup>1</sup> ლაშქრის ანგარიშმწარმოებელი XVII-XVIII საუკუნეების ირანში.

بخشید و سازندگان و نوازندگان و شعبده بازان هر يك در گوشه ای به نواختن سرود و بازی کردن دل مجلسیان را از جای میبردند. و از عکس زیست آینه وزیورهای بیقرینه هوش از سر و طاقت از بر نظارگان به در رفته هنگامه ای عجیب و معرکه ای غریب رخ داده بود که تا چشم بیننده روزگار برقرار گردیده چنین چراغان و آیین بندی مشاهده نکرده

القصة چون چهارده شبانه روز به اتمام رسید نواب علیقلی خان به کدخدایان و ریش سفیدان و کلانتران اهل محترفه خلعتهای فاخر و نوازشهای وافر کرده و به گشودن آیین و اسباب چراغان رخصت فرمود و در آن شب که محل عبور مشتری به برج زهره بود بندگان و الاشان قدم در شبستان شاهزاده گرجستان گذاشته نازنین صنمی را به نظر در آورد که چشم سیاه متش آوازه لیلی را سرمه داده و زلف عنبرین فامش نقش شیرین را بر طاق نسیان نهاده و عارض سمن سایش چهره خورشید را مزین گردانیده و قد شمشادش تکیه بر سر و گلستان زده. القصة در آن شب نشاط، افروز آن دو گوهر گیتی فر روز دست چون هلال به گردن وصال افکنده و از گوشه های لب شهد آفرین خراج هند و ما چین می ربودند و از غمزه جانستان آن حور لقا شموع و مصابیح آن بزم با صفا بی اختیار گذار برگذار می گذرانیدند. ساعتی به غمزه جانسوز و فتنه اندوز طالب از بر صبر و از دل قرار از همدیگر ر بوده، عاقبت الامر آن تشنه بیابان ریگ روان بعد از شدت سوزش جگر تشنه الامان به بر و رویش زده سرمنزل آب حیوان رسیده نشسته تازه و روان بی اندازه حاصل گردانید

„განგებით მავალი საჰეყერანის დიდებული ფირმანის თანახმად, ტომთა ბელადებს, ამაღებს,<sup>2</sup> ბაბაებს,<sup>3</sup> ზაბეთებს<sup>4</sup> და ქედხოლებს<sup>5</sup> თოთხმეტი დღე-ღამის განმავლობაში ჩირალად და სარკედ უნდა ექციათ წმინდა მიწა და ისეთი ქორწილი ეჩვენებიათ, მსგავსი ჯერ არავის ჰქონოდა ნანახი. ბრძანების თანახმად, ბედნიერი საათი აარჩიეს რა, ბაზრის ხალხმა, უამრავი ჩირალდნით, სანთლით გაანათეს დუქნები და გააბრწყინეს და ააბრწყვიალეს უამრავი ადგილი. სანთლებისა და ლამპების ნათებისაგან და მამხლებისა და ჩირალდნების ბრწყინვალეებისაგან დუქნები გასაკვირვებლად განათებული, ზეცის ბურჯებსა და ვარსვლავებს ამბავს აწვდიდნენ.

<sup>2</sup> რწმუნებული, ოლქის უფროსი.

<sup>3</sup> საპატოო ტიტული. რაიმე საქმის გამგე.

<sup>4</sup> გამგებელი.

<sup>5</sup> მამასახლისი.

და სიბნელე და წყვიადი ღამისა იმ ღამეს ქალაქიდან დაიკარგა და იმ ხალხის ბრწყინვალეობას სრულ სიმაღლეს ანიჭებდა. დამკვრელები, მომღერლები და ჯამბაზები, სათითაოდ უკრავდნენ და მღეროდნენ და მეჯლისის მონაწილეთა გულს იტაცებდნენ. და ზინათის შემცველი ურიცხვი სამკაულის შემხედვარე ხალხისთვის გული და გონება წაერთმია. საკვირველი დროება და გასაოცარი მარაქა გამოჩენილიყო. ამგვარი ბრწყინვალეობა და ფუფუნება ადამიანის თვალს ჯერ ნანახი არა ჰქონდა.

ერთი სიტყვით, როცა თოთხმეტმა დღე-ღამემ განვლო, ნავაბმა ალი ყული-ხანმა, ქედხოდებს, რიშეფიდებს [უხუცესები] და ქალანთარებს,[ქალაქის უფროსი] იმ ხალხს უამრავი ძვირფასი ხალათი უბოძა და მიეფერა მათ. და როგორც წესი მოითხოვს, ჩირაღდნების თანხლებით მისცა მათ წასვლის ნება.

იმ ღამეს, რომელიც იყო დრო ასპიროზის ვენერას ზოდიაქოში შესვლისა, იმ დიდებულმა დიადმა ფეხი შედგა საქართველოს უფლისწული ქალის საძინებელში დაინახა რა, ის საყვარელი კერპი (ქალიშვილი), რომლის ვნებიანი შავი თვალებს ლეილის შესახებ თქმულება სრულ ეყო და მის ამბრის სურნელოვან ზილფს შირინის ხატება დავიწყებისთვის მიეცა.

და მის უცვეთელას დამნაყავ ღაწვებს მზის სახე შეემკო და მისი სამშიტის ტანი წალკოტის საროს დაყრდნობოდა.

მოკლედ, იმ ნიშატის მომგვრელ ღამეს იმ ქვეყნის მანათობელმა მარგალიტმა ხელი ნახევარმთვარის მსგავსად კისერზე მოჰხვია და თაფლიანი ბაგეების სიტკბოს ინდოეთისა მაჩინისგან ხარაჯა აეღო. და სულის წამრთმევი კეკლუც ჰურიის სანთლებისა და ჩირაღდნების მსგავს ღაწვებიანთან იმ სიამოვნების შემცველ ნადიმში ატარებდნენ დროს. ერთი საათი სულის დამდაგველი სიკეკლუცით და აგზნებით, მოთმინება და თავშეკავება გულისა ერთმანეთს მოსტაცეს რა, საბოლოოდ სამუმიანი უდაბნოს წყურვილი, მას შემდეგ რაც მისგან იწვებოდნენ, იმ უკვდავების წყლით მოიკლეს და ახალი ვნება და უზღვავი სულიერი ნეტარება მოიპოვეს.“58 -60

-----

چون طهمورث میرزا بر چگونگی امر اعلیٰ واقف شد سینه خود را که در پرده عصمت پروریده و در رعنائی و زیبایی و حسن و لطافت نظیر نداشت. آن دختر ماه پیکر را با دو نفر دایگان دختر و سی نفر از غلامان اخلاص توامان خود همراه نموده در نیمه شب از اصل قلعه بیرون کرده به قلعه جبل البرز کوه فرستاد و اموال و خزاین بسیار نیز در آن مکان مخفی نموده بود که دختر را نیز در آنجا مخفی دارد که مبادا نواب صاحبقران آن خورشید پیکر را تصرف نماید و روانه ساختن دختر و ورود چاپاران والا یکی بود که رقم مرحمت آمیزی به جهت طهمورت مرقوم داشته بود که اراده جهانگنا آن است که مواصالت فیما بین وقوع یابد. باید سببه ای که در پس پرده عصمت طهمورثی پرورش یافته در محله زرنگار نشانیده با موازی یکهزار نفر از نامداران قزلباش برداشته روانه نمایند. طهمورث میرزا در جواب فرمایش اقدس عرض نمود که سیه ای داشتم که چون نخل نمر زندگانی در پرورش آن کوشیده به سرحد کمال رسانیده بودم. از قضای فلکی و تقدیر لم یزلی به جوار رحمت ایزدی پیوست چاپاران مراجعت کرده چگونگی فوت مرحومه مغفوره را بسمع امنای دولت دوران عدت رسانیدند و طهمورت میرزا نیز با جمعی از غازیان قزلباش متعاقب وارد شده به درگاه جهان آرا مشرف گردید. خاقان عدیم الهمال از شنیدن این مقال کمال کدورت و ملال در ناسیه همایونش ظاهر گردیده طهمورث میرزا را غایت التفات و نوازش فرموده به خلع گرنامه خروانه سرافراز گردانید.

„როდესაც თაჰმურას მირზამ (თეიმურაზმა) უზენაესი ბრძანების შესახებ შეიტყო, თავისი პირმთვარე ქალიშვილი, რომელიც უმანკოების ფარდაში აღეზარდა და სილამაზესა, მოხდენილობასა და მიმზიდველობაში ბადალი არ ჰყავდა, – ის მზეთუნახავი გოგო, ორ მიძასთან და თავის 30 ერთგულ მონასთან ერთად შუა ღამით მთავარი ციხიდან გამოიყვანა და ელბორსის მთის მწვერვალისკენ გაგზავნა; აურაცხელი ქონებაც იმ ადგილას გადაამალა, \_ ღმერთს არ ექნა! \_ ქვეყნის მპყრობლის ნაიბებს ის მზეთუნახავი ხელში ჩაეგდოთ.

გოგოს გამგზავრება და დიდებული ჩაფარების მოსვლა ერთი იყო. მათ შეწყალების რაყამი მიჰქონდათ თეიმურაზისთვის: „ქვეყნის მპყრობლის (ნადირ შაჰის) სურვილი ისაა, რომ ერთმანეთს შორის ერთიანობა გაჩნდეს. ამისთვის საჭიროა, ქალიშვილი, რომელიც თაჰმურასმა უმანკოების ფარდაში გაზარდა, დასვას ოქროთი მოოჭვილ ტახტრევანზე და ათასი კაცის თანხლებით ყიზილბაში დიდებულებისკენ გამოუმვასო“. თაჰმურას მირზამ უწმინდესს უპასუხა: „ქალიშვილი მყავდა, რომელსაც სიცოცხლის ინდისხურმასავით ვზრდიდი, მის აღზრდაში მთელი [მისი] ცხოვრება ასე მიცდია, სრულ ზღვარამდე მიმიღწევია. ზეციური ბედისწერისგან და უფლის განაჩენისგან უფალს ეახლა (გარდაიცვალა)“.

ჩაფარები გაბრუნდნენ და ცხონებული დიდებულის სიკვდილის შესახებ ამ ქვეყნის პატრონს აცნობეს.

თაჰმურას მირზასაც გარკვეული რაოდენობის ყიზილბაშ ღაზიებთან ერთად ქვეყნის მპყრობლის სასახლეში მისვლის პატივი დაედო. ამის გაგონებაზე დიდად ყაენს თავის მეფურ სახეზე დარდი და მწუხარება აესახა, თაჰმურას მირზას დაუტკბა, მოეფერა და ძვირფასი მეფური ბუნებით განადიდა.“49-50

-----  
مشار اليه دانست که دخترش به دست غازیان قزلباش گرفتار شده، چاره ای جز راست گفتن ندید بیان ما وقع را عرض نمود. امیر صاحبقران نظر به خجالتی که از ولات مسیحیه داشت، درباره آن نوازشات از حد فزون مرح داشت در این وقت امیر اصلاں خان وارد گردیده، به کرنش اشرف مشرف گردید نواب صاحبقران مقرر فرمود، که دختر را از عرض راه به منزل پدرش بردند. و چند یوم دیگر طهمورث میرزا تدارک صبیہ خود را دیده، با چند نفر از کدبانوان حرم خود روانه حرم محترم صاحبقرانی نموده، در سلک پردگیان حریم جاه و جلال انتظام یافت. و محمد قلی میرزا برادر خود را به خدمت اشرف فرستاده در باب پیشکش نمودن فرزند خود عرض نمود.

محمد قلی میرزا را نوازشات پادشاهانه فرموده، به ندیمان و وزرای با اختصاص مقرر فرمود، که تدارک آن پردگی سراقق عفت را از زر و زیور و جواهر آلات دیده، در ساعت سعد مقارنۀ سعدین افتاد. و مشاطگان آن خورشید خاوری را زینت داده، به شبستان خاص در آوردند و حضرت صاحبقران به وصال آن نوباوه گرجستان رسید. روز دیگر انعام و احسان بسیار به سکنه آن دیار نموده، علی الخصوص به گرجیان شفقت و مرحمت فرموده طهمورث میرزارا والی و صاحب اختیار آن ولایت کرد تا را به ایالت قراقلخان و کارتیل تعیین فرموده روانه نمود

„თეიმურაზმა უკვე იცოდა, რომ მისი ქალიშვილი ყიზილბაშ ღაზიებს წაეყვანათ და ამიტომ სიმართლის თქმის გარდა სხვა გზა ვეღარ მონახა. ნადერ შაჰმა, იმის გამო, რომ ქრისტიანი ვალიების რიდი ჰქონდა, მის მიმართ დიდი ყურადღება გამოიჩინა. მისი ბრძანებით, ქალიშვილი გზიდან მამის სახლში წაიყვანეს, რამდენიმე დღის შემდეგ კი თეიმურაზმა თავისი ქალიშვილის გამზადების თადარიგი თავადვე დაიჭირა. რამდენიმე ქალი თავისი ჰარემიდან, სვებედნიერის (ნადერის) ჰარემში გაუშვა, დიდებულად დააბინავა იქ შემდეგ თავისი ძმა, მოჰამად ალი-მირზა, მეფესთან გაგზავნა და თავისი ქალიშვილის მისთვის მირთმევის სურვილი აცნობა. შაჰმა მოჰამად-ყული მირზას მეფური პატივისცემა მიაგო და თავის მრჩეველებსა და ვეზირებს უბრძანა, ქალი მოერთოთ,

მოეკაზმათ და ოქრო-ვერცხლში ჩაესვათ. ამ „უმანკო ქალწულისთვის“ მოამზადა სამკაულები და ძვირფასი ქვების ნაკეთობები. გოგო მორთეს, გაალამაზეს და „განსაკუთრებულ საძინებელში“ მიიყვანეს. „დიდებული სვებედნიერიც ნორჩ ქართველ ქალს შეერწყა.“ 53

-----

از آن جمله گرگین خان که از غلامان سرکار خاصه شریفه و در آن اوان صاحب اختیار و بیگلربیگی قندهار بود بنای بیحسابی، گذاشته اموال و اسباب رعایا را به عنف و تعدی تصرف میکرد و هر جا دختری مقبول بود جبراً آن را کشیده میگرفت و دائم الخمر بود.

„გორგინ ხანი, რომელიც დიდებული პატრონის რჩეულთაგანი და იმ ხანებში უზენაესი ძალაუფლების მქონე ღოღამთაგანი და იმ დროის უმაღლესი ძალაუფლებისა და ყანდაჰარის ბეგლარბეგის [სახელის] მქონე იყო და [რომელსაც] უწესობისთვის ჩაეყარა საფუძველი, ხალხის ქონებასა და საკუთრებას უკანონოდ და უსამართლოდ ხელყოფდა და სადმე თუ მოსაწონი გოგო იყო, ძალით იტაცებდა. დღენიადაგ მთვრალი იყო...“ 17

-----

روزی به او رسانیدند که برادر میرویس افغان که از اشراف و اعیان افاغنه قندهار بود دختری دارد که در خوبی عدیل و نظیر ندارد آن نادان مغرور جمعی را فرستاد.

„ერთ დღეს მას [გიორგის] აცნობეს, რომ მირვეის ავღანელს, რომელიც ყანდაჰარელ ავღანელებში ერთ-ერთი დიდი კაცი და აღზევებული პიროვნება იყო, ჰყავდა ერთი ქალიშვილი, რომელსაც სილამაზით ტოლი არ მოეძებნებოდა. იმ თავგასულმა ხეპრემ ამ გოგოს მოსაყვანად რამდენიმე კაცი გაგზავნა.“ (ქაზემი 2016,17)

-----

واز آن جانب گرجیان که مست شراب بودند، خمارآلود سوار مرکب شده بترتیب صفوف پرداخته، حمله بر عساکر قزلباش نمودند.

„იმ მხრიდან ნამთვრალევი ქართველები ცხენებზე შესხდნენ და ერთ ხაზზე დაწყობილები თავს დაესხნენ ყიზილბაშთა რაზმს...“ (ქაზემი 2016, 39).

-----

خسر و میرزا چون گرجی بود دایم مست و مدهوش افتاده بود. هر چند وزرا و ندما عرض نمودند که دریای قلعه خالی از احتیاط نشستن از رویه سپاهیگری دور است. او از غایت نخوت و غروری که داشت گوش به سخن آنها ننموده گفت: «این جماعت را چه یا را که با ما خلاف قاعده سلوک ورزند و از این معنی که حکیم فرموده غافل بود. وجود از افغانه بر نمیداشت، و بنا به عیش و عشرت گذبشته بود.

„ხოსროვ მირზა, რადგან ქართველი იყო, ყოველდღე თვრებოდა და უგონოდ ეგდო. ვეზირები და ახლობლები ეუბნებოდნენ, რომ ციხის ძირას სიფრთხილის გარეშე ყოფნა ლაშქრობის წესს არ შეეფერებაო, მაგრამ იგი მისთვის დამახასიათებელი უკიდურესი ამპარტავნობისა და თვითდაჯერებულობის გამო მათ სიტყვებს ყურს არ უგდებდა და ამბობდა, ამ ბრბოს იმისი შეძლება ვინ მისცა, რომ ჩვენთვის წინააღმდეგობის გაწევა შეძლოსო; და უდარდელად იყო... ავღანელთა არსებობას აინუნში არ აგდებდა და ქეიფსა და ლხინში ატარებდა დროს.“ (ქაზემი 2016,20).

-----

بعد از فراغ از رسوم و آداب و انتظام امور که آن بلده از فر قدوم همایون رشگ افزای بوستان ارم گردید طهمورث خان عرض نموده بود که سکنه کاخ و کارتیل و غیره که سابق بر این باجگزار پادشاهان ایران بودند. حال که از حب جادو غرور دولت بادنخوت در دماغ خود افکنده اکثر اوقات به تاخت و تاز این حدود آمده تعرض به حال مردم میرسانند و با طایفه لزیگی نیز یا رویکی شده و با طایفه تاتار که در پس کوه البرز که مشهور به قلعه چهار قاف است سکنی دارند متحد شده چنان اراده دارند که هرگاه رایات فیروز آیات به این صوب توجه نماید کوچ و کلفت خود را برداشته به آن نواحی عبور نمایند و با طایفه تاتار و جماعت ینگی دنیایی متفق شده به دفع لشکر صاحبقرانی پردازند و هرگاه در رفتن نواب صاحبقران تأخیر واقع شود. گاه باشد که با جمعیت خود خیرگی کرده به عنوان تاخت و تاز در این زودی وارد گردند.



საქმეთა წესრიგში მოყვანის შემდეგ, ის მხარე უზენაესის ნაბიჯების ბრწყინვალეობისგან სამოთხის ბაღზე უმჯობესი გახდა. თაჰმურას ხანს მოეხსენებინა, რომ კახეთის, ქართლის და სხვა მხარეების მკვიდრნი, რომლებიც მანამაღე ირანის ფადეშაჰებს ხარკს უხდიდნენ, იმის გამო, (მათ) ამპარტავნებისა და სიამაყის ნიავი ცხვირში სცემიათ, უმეტესაც ამ მხარეებს ესევიან და ხალხს აწიოკებენ. ლეკთა ტომებთანაც გაერთიანებულან და თათართა ტომთანაც, რომლებიც იალბუზის მთის უკან, „ჩეჰარყაფის“ სახელით არის ცნობილი; გაერთიანებულან, რადგან აქვთ სურვილი, რომ ყოველთვის, როცა ძლევაძმოსილი დროშები ამ მხარისკენ იზამენ პირს, მოაქციონ რა, იმ მხარეების ველებზე გამოილაშქრონ. თათართა და სხვა ხალხებთან გაერთიანებულან და ეს სვებედნიერი ხელმწიფის ლაშქრისგან თავის დასაცავად გამოუყენებიათ. და ყოველთვის, როცა სვებედნიერი ხელმწიფის ლაშქარი მოვა, თავის ხალხთან ერთად სიმამაცეს გამოიჩენენ რა, უეცრად დაესხმიან თავს.” (ქაზემი 2016, 32).